

სასოფლო-გაზეთი

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სახელმწიფო უწყებანი

გაზეთის ფასი:

თბილისში	ბათუმში
გარეუბნებში	ბათუმში
წლისა — 4 მან.	— 3
წარმოების წლისა — 3 —	— 2
თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

მეორე წელიწადი

ბათუმის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისის „სასოფლო-გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთაძის სახლში, პოლიციის გვერდით.
თბილისის გარეუბნებში მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-и.

შოველ გვარი განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იბეჭდება თბილისში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში.

№ 22. შაბათი.

II.

22 ნოემბერს 1869 წ.

შინაარსი:

უცხო ქვეყნის ამბები: — ტანთელი ცხოველი-
საგან ჭირის გაჩენა. — ქარაქის კეთებაზე. — შინულის
შენახვა. — ბარზუის საქონელი. — საეკიმო ცნობე-
ბი: — ბავშვის ავთმყოფობა. — ხურება, იმისა გაჩენ-
ბიზუნი და მოსაობა. — სამეცნიერო ნაწილი: —
აბრეშუმის ავთმყოფობა. — მოძღვრება. —

უცხო ქვეყნის ამბები

ტანთელი საქონლისაგან ჭირის მოტანა და სხვა საქონლებზე გადადება და ამის გამო უცხო ქვეყნიდან საქონლის მოყვანის შეჩერება ანგლიაში. შევლამ იცის, რამდენათ დამღუპველია ბევრი პირუტყვისა და კაცების ერთად მოგროვებით ცხოვრება. ამის მიზეზით ხშირად ჩნდება ხალხმე გადამდები ავთმყოფობა. ძალიან ცხოველი ტან მთელია, მაგრამ როცა ბევრი მოგროვილან ერთათ საცოვრებელათ, მაშინ ეს ტან მთელიც კი აჩენს ცუდს სენიანს ავთმყოფობასა. ამისი მაგალითი ბევრია „ანგლიის ხელმწიფის ბიორგი მესამის დროს ერთი დატყვევებული ოთხი ყარაულის გამოტანებით მოიყვანეს სასამართლოში. მთუმა თვითონ ეს ტუსალი არ იყო ავთ, მაგრამ იმისი გამოვლი ყარაულები ოთხივე სნებით, საოფლით, დაიხოცნენ. აქადგან სხვებს აღარ გადადებიათ ეს ავადმყოფობა. როგორც ანგლიის მეცნიერი ღარინი ამბობს ტუსალების სუნთქვა გაუჩენს ვინც კი იმათ მიეკარება, ავთმყო-

ფობასა, და ეს ამონასუნთქვი იმდენათ უფრო ძლიერი საწამლაია, რამდენათ უფრო განსხვავებული გვარისანი არიან ტუსალები დიდი ხნით დამწყვდეულნი სატუსალოში.

* *

მეორე მეცნიერი სახელად შლეშინგი ამაზე კიდევ უფრო ცხადს მაგალითს გვიჩვენებს: შინდერის საქონელს ისეთი ადვილ-მოსახდელი ჭირი ემართება, რომ პირუტყვი არც კი გრძნობს ავთმყოფობასა. მაგრამ ეს პირუტყვი უცხო ქვეყნის ჯოგებში რომ გაურიო, სულ ერთიანათ გაწყდებიან ისინიო. ჭირი უჩნდება პირუტყვებს სხვა ქვეყნებში გარეკის დროს. ზოგიერთი რუსის მწერალნი ამტკიცებენ, რომ რუსეთიდან გარეკილი პირუტყვი სრულებით ტან-მთელია თავის ქვეყანაში, მაგრამ მიიყვანენ თუ არა ბერმანიში, ან შრანციაში, რამდენიმე დღის უკან ამ ჯოგს გამოაჩნდებათ ხალხმე ჭირი. სხვანი ამასაც ამტკიცებენ; ეს პირუტყვები თვითონაც რომ არიონ ჭირით ავთ, ადგილობრივს პირუტყვს მანც დამართებენ ჭირსაო.

მართი ნემენცის მწერალი ამტკიცებს, რომ ამ ცხოველებს აედინებათ მანებელი სუნი, რომელიც უჩენს ჭირს სხვა პირუტყვებსა, და თვითონ ავთ არ ჰხდებიან. ამ სახით შეიტყვის, რომ პირუტყვი ტანმთელიათ არის, არავითარი ავთმყოფობის ნიშანი არ უჩნდება, მაგრამ რომელ ჯოგშიაც გარევი, იმაში მოჰყვანს ჭირსა. აქ დამოწმებით და პირუტყვის გასინჯეთ კაცი ვერასა იქს, მხოლოდ ერთი საშუალება უნდა იხმარონ ყოველგან. უცხო-

ადგილიდან მოყვანილი პირუტყვი ერთ ბაზარში სადმე დააყენონ და არამცა და არამც იქაურ პირუტყვებში არ გაურიონ.

* *

მართი ამერიკელი მეოჯახე გეომბობს, თუ მეოჯახეს უნდა კარგი ნაღები, ახლად მოწველილი რძე უნდა დადგა ზაფხულობით გრილ ალაგსო. ნუიორკის შტატში ერთი მაზრაა, სადაც ჩინებულს ერბოს აკეთებენო და იქ გამოცდილებით შეტყობილი აქეთ, რომ საუკეთესო ერბო კეთდება იმისთანა ნაღებისაგან, რომელიც გრილ ალაგს დადგმულს რძეს მოუღიაო. მთუ გინდა მალე მოაღებინო რძეს ბევრი ნაღებიო, უნდა გააცხელო, სანამ აღუღლებოდეს, მერე მაშინვე უნდა გადმოდგა და გრილს ალაგას დადგაო გასაციებლათ. მაგრამ გადმოღუღებულს რძის ნაღებში ყველის ნაწილებიც არის გარეული და ამისთანა ნაღების კარაქი მალე ხდებაო; მაგრამ გადმოღუღლარი რძის ნაღებისგან გაკეთებულს კარაქში ყველის ნაწილები არ ურევიო; ამის გამო, კარაქი ღიძხანს სძლებს და უკეთესიც გამოდისო. ძარაქს უნდა ჰქონდეს კარგი ფერი, უნდა იყოს მაგარი, წმინდა სანთელსაფით უნდა იქნებოდეს და ამასთან მშვენიერი სუნიც უნდა ჰქონდეს. ამისთვის როგორც კი ძროხას მოწველენ, რძე მაშინვე გრილს ალაგას უნდა დადგა გასაციებლათ და შემდეგ ამისთანა გრილოში უნდა იდგეს, სანამდის თავს კარგათ არ მოიღებს. მეტი-მეტი გრილოც აწყენს და სითბოცა. ამისთვის რძის დასადგმელ ხულაში



უნდა გადიოდეს წყარო; ან თუ ეს არ მოხერხდა, წყაროს წყლებით უნდა გააენო ბოჭკები და შიგ თუნუქის ჭურჭლებით ჩადგარძე, რომელიც უნდა იდგეს ერთი დღე და ღამე, რომ კარგათ მოიღოს ნაღები. მრანქის მაზრაში, სადაც ბევრს თეთრეულობას (ძროხაოულს აკეთებენ,) აქეთ ცალკე გაკეთებული რძის დასადგმელი ოთახები, რომელშიაც ღვას დიდი როფი, ან წყლის ღარი და შიგ გადის წყარო. ამროფსა აქეს საყენ ნახევარი სიგძე და ერთი მტკაველი სიღრმე. როდესაც ძროხებს მოწველიან, რძეს ერთ გძელ თუნუქის ჭურჭელში ჩაასხმენ და ჩადებენ წყალში, საცა ერთი დღე და ღამე უნდა იყოს, სანამღის ნაღებს მოიღებდეს.

* *

პენსილვანიის სარძევე ხულებში წყალი იატაკზე გადის, აქ გაკეთებულია პატარ-პატარა ხიდები, რომელზედაც დადიან ძროხების მოწვევლიანი, რომ მუდამ წყალში არ იარან. ეს წყაროს წყლები იმიტომ არის ხულებში გაყვანილი, რომ იქ მუდამ ერთნაირი სიგრილე იყოს, რომელიც მოაღებინებს საუკეთესო საკარაქე ნაღებს; პენსილვანიელი კარაქი განთქმულია მთელს ამერიკაში. მაგრამ საცა წყაროები არ გადის, იქ უნდა იხმარო კის წყლები. რძის გასაცივებლათ.

* *

ჩვენში იციან კარაქის გაკეთება მაწენისაგან; მაგრამ არაოდეს კარგი კარაქი მაწენისაგან არ გაკეთდება. პრამც თუ მაწენისაგან ოდნათ დამუყავებული რძის ნაღებისგანაც არ გამოდის კარგი კარაქი. როცა რძეს დადგმენ გრილ ადგილას, პირველი მონაღები ყველაზე უკეთესია კარაქის გასაკეთებლათ. მაგრამ კარგ ერბოს შეტყობაც უნდა. შინც ცუდი კარაქის ტამას არის დაჩვეული, იმას იმისთანა კარაქიც მიანჩია კარგათ, რომელსაც პირში არ ჩაიკარებს ჩინებული კარაქის ნაჩევი კაცი. მსეც უნდა ვთქვათ, რომ შეიძლება ახლათ გაკეთებული კარაქი კარგი გემოსი იყოს, მაგრამ დიდხანს არა სძლებს და მალე ჰხდება. ჩვენ იმისთანა კარაქს კი არ უძახით კარგსა, რომელიც სადღებავიდანამოდების უმაღ ხდება, არა. ამისთანა ერბოს კეთება არც კი ღირს. ძარგი კარაქი ის არის, რომელიც დიდხანს სძლებს, ამიტომ რომ იმის გაკეთება ყოველთვის არ შეიძლება, და თუ მალე წახდა, საზიანოა მეოჯახისათვის. ძარგმა კარაქ-

მა რამდენსამე თვეს უნდა გასძლოს და თანის გემო არ დაეკარგოს. მაგრამ ამისთანა კარაქისათვის ნაღებიც კარგი უნდა დამზადდეს.

* *

ბრილ ადგილას დაყენებული და მოგროებული ნაღები იქავე უნდა მოიღლებო. მბილ ალაგას არაოდეს არ ღლებავენ კარგი კარაქის გასაკეთებლათ, მაგრამ თუ მომატებულ ცივ ადგილას დაუწყე ღლება, მაშინ ძალიან გაჭირდება კარაქის გაკეთება. ძარაქის ძალიან ჩქარა კეთებაც არაფერი საჭიროა. ხშირად გვესმის, რომ სამ მინუტზე მოიღლებება ერბოვო; მაგრამ იმისთანა ერბო იმავე წამს საქმელათ კარგია და შესანახათ არ ვარგა. ნაღებში ერბოს წვეთები გამოხვეულია საყველე ქრტლებში; როცა სწრაფათ მოდლებენ ერბოს, მაშინ ეს ქერტლები თანა აქეს შეყოლილი ერბოს და ამის მიზეზით ახალი ერბო მალე ჰხდება. რომ შეიძლებოდეს კარაქისაგან ამ საყველე ქერტლების სრულიად გაცლა, მაშინ კარაქი დიდხანს შეინახება და არც უნდა დამარილება. ჩვენში ერბოს ხშირად გადაადნობენ ხოლმე; მაგრამ გადადნარ ერბოს გემო აღარა აქეს და კარგი სუნიც ეკარგება.

* *

ერბოს ღლება ერთ საათზე უმაღ არ უნდა შეჩერდეს. რასაკვირველია ოჯახისათვის ის ემჯობინებოდა, რომ იმაზე მალეც იღლებებოდეს ერბო, მაგრამ მალე მოდლებით კარგი ერბო არ გამოდის და ჩქარა ხდება; ესეც უნდა ვთქვათ, რომ ენსაც ჰსურს ძალიან კარგი კარაქი დაყენოს ხოლმე, უეჭველად სარძევე ხულაში, ან სადღებავში სითბოს მზომავი უნდა დაჰკიდოს. „სასოფლო გაზეთის“ მკითხველისათვის არა ერთჯერ აგვისანია, თუ რა არის სითბოს მზომავი ანუ ტერმომეტრი. იმედი გვაქვს, მკითხველებს ამისი ახსნა აღარ დასჭირდებათ.

* *

უინულის შენახვა. აი, რა ნაირათ ინახვენ ყინულს ნორვეგიაში! კრამიტით დახურულს, უბრალო, ფიცრის ბეღელში ექვს გოჯზე სიმაღლით მოაყრიან ხოლმე ნახერხს და იმაზე დაწყობენ დიდრონ-დიდრონ ყინულის ნაჭრებს; ერთ წყობა ყინულს რო დაწყობენ, მერე ამას მოაყრიან ნახერხს და ზვიდან სხვა ყინულის ნაჭრებს დასდებენ და

ამ რიგათ იქცევიან, სანამ სულ არ გაიფხება ბეღელი; ყინულსა და კედლებს შუა ჩაჰყრიან ხოლმე აგრეთვე ნახერხსა. ამ ნაირათ ყოველ მხრით ნახერხში გახვეული ყინული ძალიან დიდხანს შეინახება, რადგან ნახერხი სითბოს არ აკარებს იმას.

ნორვეგიიდან ძალიან ბევრ ყინულს გზავნიან სხვა და სხვა ქვეყნებში გასასყიდლათ; ხოლმანდებში ჩაწყობენ ხოლმე დიდრონ ყინულის ნაჭრებს და ყოველი მხრით ნახერხს მოაყრიან, ასე რომ ამ ნაირათ დამზადებული ყინული ზაფხულშიაც არ დადნება. სადაც ნახერხი ძვირია, იქ მის მაგიერათ შეიძლება იხმაროს კაცმა წვრილათ დაჭრილი ზზე, ჩალა ან სხ..—

ანგლიის მახლობლათ არის ერთი პატარა კუნძული, — ბარნზეი, რომელიც სიგრიდით ციმეტ ვერსამდი იქნება. აი, რას სწერენ ერთს გაზეთში ამ კუნძულის საქონელზე: ბარნზეისა და ჯერზეის (მეორე იმის მახლობელი კუნძულის) საქონელი ერთი მოდგმისა არ არიან. წინეთ ერთი კუნძულიდან მეორეზე ხშირათ გადაყვდათ ხოლმე ფურები და შერეული ჰყავდათ საქონელი, მაგრამ ახლა ამას აღარ შერებიან, რადგან დარწმუნდენ, რომ ეს არ აუმჯობესებს პირუტყვის ჯინშს.

ბარნზეის მოდგმის ფურები ძალიან დიდრონები არიან და ბევრსაც იწველიან; ასე რომ ანგარიშით ერთი იქაური ფური იმდონ რძეს გამოიწველის, რომ კვირაში თერამეტი გირვანქა (თითქმის ნახევარი ფუთი) ძალიან კარგი ერბო დადგება. ამ ფურების ღირსება კიდევ ის არის, რომ დიდხანს იწველიან: ოთხი წლიდან თერთმეტამდი.—

საკლავი საქონელი ბარნზეიდან გაჰყავთ უფრო ხშირათ ანგლიაში; შარშანწინ ამ პატარა კუნძულიდან ექვსას სამოცი (660) ფური წაიყენეს იქ გასასყიდლათ, შარშან ექვსას სამოცი და სამი (663) მით ო კარგ ფურში ას ო ც და ხუთ მანეთამდი (125) აძლევენ. სხვა ქვეყნებიდან ბარნზეიში საქონლის შემოყენა აღკრძალულია.

სულ კუნძულზე — ექვსი ათას რეასი (6,800) რქიანი საქონელია; ამ რიცხვში სამი ათას ასორმოცი (3,140) საწველი ფურია და ათასი-ცხვარი (1,000). ღორები კი ხუთი ათას რეასია (5,800).

ამ კუნძულზე არის სამეურნეო საზოგადო-

ბა, რომელიც წელიწადში სამჯერ იკრიბება ხოლომე და მკურნალობის საქმეებზე სჯის; ამ დროს ადგილობრივი საუკეთესო საქონლის გამოფენაც გაიმართება ხოლომე იქა. შური ან სხვა რამ საქონელი, რომელმანც ჯილდო მიიღო საზოგადოებისაგან, უნდა დარჩეს კუნძულზე დანიშნულს ვადამის და რამდენჯერმე უნდა იშვილოსნოს, რომ კარგი ჯინშის საქონელი გამრავლდეს კუნძულზე, 1868 წელს საუკეთესო საქონლის პატრონებს მისცა საზოგადოებამ რვა ასი მანეთი ჯილდოთ. აი, რა რიგით უგდებენ ყურს განათლებულ ქვეყნებში საქონლის ჯინშის გაუმჯობესებას.—

ს ა მ ი ი მ ო ო ო მ ბ ე ბ ი.

დედისათვის მეტი არ შეიძლება ისე შესაწუხებელია, როდესაც იმის პაწაწა შვილს კბილების ამოსვლის დროს მიეცემა სიცხე, მუცელში გახსნის და თვითონ ყმაწვილიც შფოთავს. დედა სწუხს უფრო იმისათვის, რომ ყმაწვილის ავთამყოფობა ჰგონია საშიშარი და აუტანელი. ამისთანა ავთამყოფობა ყოველ ყმაწვილს ემართება ხოლომე, როცა კბილები დაუწყებენ ამოსვლას. მს ავთამყოფობაც არ არის, ეს არის იმის ნიშანი, რომ ყმაწვილი ჯანზე მოდის, კუჭი იმდენათ უმაგრდება, რომ შეუძლიან რძის გარდა სხვა მაგარი საჭმელებიც მოინელოს. მაგრამ ესეც უნდა ესთქვათ, რომ ამ დროს ყმაწვილის ტანი დასუსტებულია და გაუფრთხილებლობით ხშირად ემართება სხვა ავთამყოფლობა, რომელიც კბილის ამოსვლის მიზეზი კი არ არის, მოუვლელობის და დედის გაუფრთხილებლობის ბრალია. ძბილის ამოსვლით და მშობიერებით არც ერთი ყმაწვილი არ მომკვდარა და არც ერთს დედას არ გადუტანებია თავისი სიცოცხლე. როგორც მშობიერობა ისე კბილის ამოსვლა ბუნების წესია და რაც ბუნების წესია, იმას ვერა მოშლისრა, თუ ჩვენმა დაუდევნებლობამ არ ასტეხა სხვა ძნელი ავთამყოფობა.

* *

მაშ რა მიზეზია, რომ პაწაწა ბავშვები კბილის ამოსვლის დროს უფრო კვდებიანო—მეტყვის მკითხველი?—აი, რა მიზეზია. როცა ყმაწვილს კბილები ამოსდის, მაშინ იმას თავი უხუროს და ოფლი ბლომით სდის. ამას გარდა კბილის ამოსვლის დროს ხშირად აშვებინე-

ბენ ხოლომე ძუძუს და აქმევენ ისეთ საქმელებს, რომელსაც ჯერ ბავშვის კუჭი არ შეჩვევია. ნეტავ ცოტას მაინც აქმევენ. არა, აქმევენ უზომოთ ბევრს, ისე რომ იმის სტომაქი ველარ ინელებს, უხდება კუჭი, დაწყებინებს ყვანას: ბავშვს ამდროს მუცელი სტიკვა და ტირის. იმის დასაჩუშმელათ დედას გაჰყავს ყმაწვილი გარეთ სიგრილეში. შაოფლიანებულს შემოჰკრავს სიგრილე, მოსდის ანთება და კვდება. აი, რა არის მიზეზი ყმაწვილის სიკვდილისა. ბავშვისთვის რომ ზომიერათ ეჭმით ადვილი მოსანელებელი საქმელი და სიგრილეს გაფრთხილებოდნენ, არ გაცივდებოდა, ანთება არ მოუვიდოდა და არ მოკვდებოდა. სხადია, რომ ეს უბედურება მომვლელის უცოდინარობისაგან და გაუფრთხილებლობისაგან მოხდა.

* *

როცა პაწაწა ბავშვს კბილი ამოსდის, პირი ასტივდება, ღრძილები დაუწითლდება და დაუსივდება, პირი შიგნით უხუროს და ნერწყვიც ბევრი მოსდის. თუ რამე მიზეზით გაძნელებული არა აქვს ყმაწვილს ეს ტკივილები, ის ცოტათ დაიწყებს შფოთვას. წყურვილი აქვს, ყმაწვილი სწუხს, მაგრამ როგორც კი ამოჰკრის კბილი, მაშინვე ეს ტკივილებიც გაუვლის ხოლომე, მაგრამ ამ დროს თუ ცოცხლდენათ გაცივდა ყმაწვილი, განსაკუთრებით იმისთანა ყმაწვილი, რომელიც ბუნებით სუსტია, მაშინ სულ სხვა ნაირათ წავა საქმე.

ბავშვს ფილტვებში ანთება გაუჩნდება. მს მაშინვე შეეცემა პირში. ამდროს პირი ძალიან უხუროს, ღრძილები გაებერება, ძალიან წითელი აქვს და ზოგჯერ დალურჯებულიცა. ძუძუს წოვების დროს დედა გრძნობს, რომ ყმაწვილის ღრძილები გამაგრებულა და პირიც ძალიან უხუროს. ამ დროს ცივებაც მოსდის; შფოთავს, ბევრს ჰყვირის, ძილშიაც ხანდახან უცბათ იწივლებს ხოლომე, გაჭირებით სწოვს: თვითონ კი უნდა ძუძუს წოვა, მაგრამ ღრძილების ტკივილით ვერ კიდებს პირს. თუ კარგა ხანს გაგრძელდა ამისთანა ავთამყოფობა, ყმაწვილი უცბათ მკვლევდება და თუ ამდროს რიგიანი მოუვლელობით, ცოტა რამე მიზეზი კიდევ აუტყდა, საკმაოა, ყმაწვილი ველარ აიტანს ამდენს ავთამყოფობას და მოკვდება. ზოგჯერ ღრძილების დასიების დროს ჯირკვლებიც ჩამოსდის ყმაწვილს. ამასთან თუ ყმაწვილს ადრე ამოსდის კბილი სუსტი აგებუ-

ლების გამო, ზემოხსენებული ტკივილებიც კიდევ უფრო უძნელდება. ამდროს უნდა მოიყვანოს შვილის პატრონმა. მკითხველისა და ბებრუხანების წამალი თუ უფრო აენებს, თორემ სარგებლობას არას მისცემს.

ძალიან არგებს ამდროს პატარა ჩეარის ცივ წყალში დასველება და პირში ჩადება ყმაწვილისათვის. მს სიცხეს ანელებს და უხდება სანამდის ექიმი მოვიდოდეს. ზოგჯერ მომხდარა კიდევ, რომ კბილი ვერ ამოსვლია ღრძილის სიმაგრისაგან და როცა გაუჭირათ ღრძილი, მაშინ ყმაწვილსაც შეელებია.

* *

ძბილის ამოსვლის დროს როგორც ზევით მოვიხსენეთ, ყმაწვილს თავი უხუროს და ოფლი სდის, ამიტომ რომ თავში გროვდება ბევრი სისხლი კბილების საზრდელათ; ამისთვის სტომაქს აკლდება სისხლი, ის სუსტდება და კარგათ ველარ ინელებს; ამდროს ყმაწვილი მუცელში შეკრულია, მაგრამ საფაღარათო წამალი ზეთი არ უნდა დააღვიწოს დედამ. ძბილი წყლი რომ დააღვიწოს, ისიც გახსნის და თუ ამან არ გახსნა, ოყნა უნდა გაუკეთონ, ესე იგი თბილი წყალი შეასხან უკან დედას.

* *

ხანდახან კბილის ამოსვლის დროს ყმაწვილს ყვანა აუტყდება ხოლომე, მაგრამ ეს კბილის ბრალი არ არის, არამედ გაციებისა და გაუფრთხილებლობის ბრალია. რადგან კბილის ამოსვლის დროს სტომაქს აკლდება სისხლი და თავში გროვდება, ამისთვის ბავშვის კუჭი დასუტებულია; ამდროს ყმაწვილი რომ გაცივდეს, ან შეუფერებელი საქმელი სჭამოს, მაშინვე მოეშლება კუჭი და მუცელში გახსნაც იმის ბრალია.

ამ ავთამყოფობის მოსაშორებლათ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ყმაწვილის საზრდელსა. როდესაც ძუძუს გააშვებინებენ, მაშინვე მაგარი საზრდოს ჰმევა ყვანას მოგვრის ყმაწვილს. ამისთვის ძუძუს გაშვების შემდეგ ყმაწვილს უნდა აძლიონ ძროხის რძე საქმელათ. თუ ყვანა გაძლიერებული არა აქვს, უნდა დააყლონ სანამდის თვითონ არ ვიწვლის და თუ გაძლიერდება, ისე რომ განავალი ძალიან წყლიანია ან სისხლიანი, მაშინვე ნასწავლი დოქტორი უნდა მოიყვანონ, თორემ ბავშვი არ გადარჩება.



* *

უსუფთაობა და გაცივება ძალიან მაწყინა-
რია ყმაწვილისათვის. თუ კვდებიან ბავშვები
ჩვენში უფრო იმის მიზეზით, რომ უსუფთა-
ოთ ინახვენ, გაცივებენ ხოლმე და ამასთან
ემართებათ მოუზრჩენელი ავითყოფობა. შა-
წილი ცოტათი რომ გაცივდეს, სუ-
რდო დაემართება და თუ ამდროს არ გაუ-
ფრთხილდა მომვლელი და თბილათ არ იყო-
ლია, შემდეგ სურდოს მოჰყვება ფილტვების
ტკივილი და ანთებაც ადვილათ მოუვა. ჩვე-
ნში მაინც სურდოს არაფრათ უფრთხილდებიან
და ამდროს გაჰყავთ ყმაწვილი სიგრილეზე,
რომელიც შეამთხვევს იმას უბედურებას.
რაკი ყმაწვილი შეიქმნება უიმედო ავით-
ყოფი, მერე დედები მოჰყვებიან თავში
ხელის ცემას, მაგრამ რაღა დროს. უბედუ-
რებამდის უნდა გაფრთხილებოდნენ, თორემ
მერე რაღას გააწყობენ. ამისთვის თუ კბილის
ამოსვლის დროს ყმაწვილს მიეცემა დიდი სი-
ცხე, მაშინვე უნდა დაკვირდნენ, სასულე და
ფილტვებში ხომ არა უჭირთა. თუ ქმნა
აქეთ, ეს ამტკიცებს ფილტვების ავადყოფო-
ბას და ამდროს ყმაწვილი უნდა იყოლიონ
თბილ ოთახში, სისუფთავე არ მოაკლონ,
ფეხები თბილათ უნდა შეუწახონ და საწოლი
კარგათ უნდა ჰქონდეს ხოლმე გაწყობილი
პაწაწას. ზოგიერთი დედები საწყალს ბავშვს
სითბოსთვის იმდენს სახურავებს დააყრიან,
რომ სულის თქმაც უჭირსთ, ეს ისეთივე
უფუფრუებაა, როგორც სიგრილეში გამოყვა-
ნა ავითყოფისა. თუ რიგისანი მოვლა არ
ეკნება ბავშვსა, მერე მძიმე ავითყოფობაში
წამლი ვერას გააწყობს.

* *

მაგრამ ყველაზე უფრო აშინებს დედებს
ყმაწვილების დაკრუნჩხვა, რომელიც ემართე-
ბათ ხოლმე კბილების ამოსვლის დროს. ამა-
ებს ჩვენში ეძახიან საზოგადოთ საყმაწვილო
ბნედას და არ არის ისე საშიში, როგორც ჰგო-
ნიათ ბავშვის დედ-მამებსა. პაწაწა ყმაწვილებს
ადვილათ ემართებათ ხოლმე ბნედა. ზოგჯერ
ცოტარამ მიზეზიც საკმაოა, რომ საყმაწვილო
ბნედა მოუაროს. როდესაც კბილი ამოსდისთ,
ღრმისილები სტკივან და ეს ტკივილი ტვინის
ძაფებშიც გადადის; იმათი ატკივება ბნედას
ზოგჯერის ხოლმე ბავშვსა, მაგრამ რაკი კბი-
ლები ამოუა, ეს ბნედაც გაუფლის, როცა ნა-
წლევეებში უგროვდება ყმაწვილს ბევრი გა-
ნაეალი მუცელში შეეკრითა; ან და თუ რა-

მე საქმელმა აწყინა, საყმაწვილო ბნედა ხში-
რათ მოუფლის ხოლმე ამისაგან. ლოქტორი
შტერნი ამბობს, რომ მე ვიცოდით ერთი პა-
წაწა ქალი, რომელსაც ემართებოდა ბნედა
კბილების ამოსვლის დროს. ამ ქალს დღეში
ათჯერ მაინც მოუვლიდა ეს ბნედა და ბნედის
დროს ყოველთვის კარში გადიოდა. ამას
შემდეგ კარგათ დაეძინებოდა ხოლმეო და
ძილში სხვა ტკივილები არა ემართებოდარაო.
არამცთუ მართო კბილის ამოსვლა, ყოველ
ავითყოფობას ბავშვისას შეიძლება ბნედა მო-
ჰყვეს, მაგრამ აქ საშიშარი არა არის რა. თეი-
თონ ავითყოფობა რაკი გაუფლის, ბნედაც
დაეხსნება.

* *

ზოგჯერ ბნედა ისე გაძლიერებული აქვს
ბავშვსა, რომ საშიშარიც ხდება იმის სიმრთე-
ლისათვის. ეს მაშინ მოხდება, როდესაც ბნე-
და მოსდევს სხვა ავითყოფობებს და ხშირ-
ხშირად უფლის და ყმაწვილი დიდხანამდის
ვეღარ მოვა ხოლმე თავს გონებაზე. წამ-
ლობის დროს კაცმა ბავშვის აგებულებას უნ-
და მიაქციოს ყურადღება. ზოგია მაგარი აგე-
ბულების და ტანმრთელი, ზოგი სუსტი და
ავითყოფია; შეიძლება ბნედა ორივეს უფ-
ლიდეს; მაგრამ მაგარი აგებულების ბავშვს
ბნედის დროს სახე დაწითლებული და გაღაჟ-
ლაჟებული აქვს; სუსტს ყმაწვილს კი სახე ფერ
მკრთალი აქვს და მთელი იმისი ტანი ისეთ-
ნაირათ გადიკცევა, ასე გგონია მოკვდარ.
ორივე შემთხვევაში ციფი წყლის შესხმა კინჩხ-
ში მალე მოაბრუნებს ყმაწვილს. თუ მახლო-
ბლათ ნასწავლი ექიმი სადმე, ის უნდა დაი-
ბარონ და თუ არ არის, მაშინ თვითონ პატ-
რონებმა უნდა იხარონ ეს საშუალება. ბავშვს
გამოახვევენ ზეწარში და დახრან წყლიან
ჭურჭელზე; მერე პატარა ტუმბოთი (საშხე-
ფავით) შეასხმენ წყალს კინჩხზე, თუ ერთი შე-
სხმით არ მობრუნდა, გაუმეორებენ რამდენ-
ჯერმე თუ ბნედა გაძლიერებული აქვს ბავშვ-
სა, ცოტას დააცილიან და კიდევ შეაშხეფავენ
წყალს. რაც უნდა ძლიერი ბნედა ჰქონდეს,
სამჯერ და ოთხჯერ მეტათ საჭირო არ არის
ტუმბოთი წყლის შეშხეფინება, მაშინვე მო-
ბრუნდება.

* *

როცა ბავშვს კბილები დაუწყებს ამოსვლას,
ხშირათ ემართება ქეცი ან ღერი. თუმცა ექი-
მები ამას ეძახიან კბილის ქეცსა; მაგრამ არა-

ოდეს კი არ მინახავს იმ ბავშვებს ტანზე ამ
ნაირი ქეცი, რომელნიც სუფთად და კარგი
მოვლით იზრდებიან. მე მხოლოდ მინახავს
იმისთანა ბავშვების ტანზე ამ ნაირი დაყრი-
ლი, რომელთაც შეუფერებელს საქმელს აქ-
ლევენ. ტანზე გამოყრა ბავშვების ხშირათ
უსუფთაობის მიზეზია. როცა ყმაწვილს კბი-
ლი ამოსდის, ზოგიერთი დედა იმის თავს არას
მიაკარებს, არც დაბანს, არც დაეარცხნის, ასე
ჰგონია გაუჭირდება რამეო. სხადია, რომ ამი-
სთანა უსუფთაობით ყმაწვილს გამოჰყრის ჯერ
თავზე, მერე შუბლზე და პირზე. თუმცა ამი-
სთანა დაყრით არა უჭირთ რა ბავშვებს, მაგ-
რამ რადგან დაყრილი ასოები ძალიან ექვეყ-
ბათ (ექვეყბათ), ამისთვის ყმაწვილი შფო-
თავს, ძილი არ მოსდის და მადაც ეკარგება.
თუ დიდხანს არ მოსცალდა ეს ქეცი ან ღე-
რი, ყმაწვილი კიდევ გახდება. ამას წამლობა
არა უნდა რა, თავისითაც გაიფლის, თუ ყმა-
წვილს რიგისანი საქმელი ზოძიერათ აძლიეს
და ძალიან სუფთათ შეინახეს; ხშირათ უნდა
აბანაონ ხოლმე თბილ ქატოს წყალში. და-
ყრილზე ტკივილები და ქეცა მალე დაუწყნარ-
დება ყმაწვილს კარაქის წასმით; თუ ტანზე
გამოყრამ ძალიან შეაწუხა ბავშვი, ან თუ
თვლები და ყურები დაუსიდა ამითი, მაშინ
უეჭველათ ნასწავლი ექიმი უნდა მოიყვანოს
ბავშვის პატრონმა.

ს ა ო ზ ლ ე , ს ა ხ ა დ ი .

ი მ ი ს გ ა ჩ ე ნ ი ს მ ი ზ ე ზ ი და თ ა ვ ი დ -
გ ა ნ მ ო ო რ ე ბ ა .

სახადით ხშირათ ხდებიან ხოლმე ავით-
ახალ სახლებში, როცა ოთახი ნამიანია, ნო-
ტიოა. შენიშნულია კიდევ, რომ ახალ სახ-
ლებში უფრო ადვილათ ჩნდება საოფლე,
ვინამც ძველ სახლებში.

ამისთანა ახალ-სახლებში ცხელება უფრო
ზამთრით გაჩნდება ხოლმე, როცა ფანჯრები
და კარები მუდამ დახურულია და ფენისაგან
გახურებულია შინა კედლები და იატაკი ასე,
რომ ძირიდან ადის ცუდი სუნისანი ოხშივა-
რი. ზოგიერთ ქალაქებშიაც, ხშირად ჩნდება
ხოლმე ზაფხულობით ცხელება, საცა კი მი-
ლები არის მიწაში გაყვანილი უწმინდურო-
ბის გასატანათ. როდესაც რკინის ვზას მუშა-
ობენ ხოლმე, მაშინ თიხისანი და თირიქით
გაკეთებულ პოლოტოზე (რკინის გზის სა-

ქართული
საზოგადოებრივი

ფენზე) ხშირად ადის ცუდი ოხშივარი, რომელიც აჩენს მუშებში ცხელებას. იპერეთში ამის გამო მუშები და გნსაკუთრებით სალდათები ძალიან ბევრად ხდებიან ავად ცხელებითა. ლონდონის ქალაქის მცხოვრებლები, რომელნიცა დგანან დაცემულს ჭაობიანს მდინარის ტემზის პირებზე, ზაფხულ და შემოდგომაზე ხშირად ჰხდებიან ხოლმე ავად საოფლითა, იმიტომ რომ სიცხიან-დროს ამ ჭაობებიდან ადის ცუდი სუნის ოხშივარი. ლონდონის საოფლე ლაზარეთებში შეკრებილი ამბები გვატყობინებენ, რომ სახადის მიზეზი ნამდვილად ჭაობიდან აღნილი ცუდსენიანი ოხშივარი არისო. შევლას შეტყობილი აქვს აგრეთვე ისიცა, რომ ეს ავადმყოფობა ძალიან მოფენილია ხოლმე შემოდგომაზე და გაზფხულზე სულ აღარ არის. სახადი გჩნდება ხოლმე მაისის თვეში და შემოდგომაზე ძალიან გაძლიერებულია. შემოდგომის გასულიდან იკლებს და აპრილ მდის სრულიად განრინებულია (გაქარვებულია). სახადით ავადმყოფობა ცუდსა და კარგს ამინდზედაც ჰკიდია. თუ ზაფხული სიცხიანია, სახადიც უფრო მოფენილია და თუ ზაფხული წვიმიანია, სახადიც იმდენად არსად ჩნდება. სიე ზამთარში სახადით ძალიან ძვირად გახდება ხოლმე ვინმე ავად; მაგრამ თუ ზამთარი თბილი დადგა, სახადით ავადმყოფობაც გახშირებულია.

* *

ათას რევას სამოცს წელს ლონდონში იდგა ძალიან ცივი ზაფხული და საოფლით ავადმყოფიც არაინ იყო თითქმის. ათას რევას სამოცდა სამს წელს ზაფხული დადგა ძალიან სიცხიანი და საზოგადოთ იმ წელს სულ თბილოდა. სახადით ან საოფლით ავადმყოფებიც მეტი არ შეიძლება ისე გამრავლდენ. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ეს ავადმყოფობა ჭაობიანი ადგილებიდან აღნილი ოხშივარი-საგან ჩნდება; რამდენათაც უფრო ბევრი ოხშივარი ადის, ისე უფრო ბევრი სენია ჰაერში და ბევრი ოხშივარის ადენა კი სიცხის მიზეზით არის. რაც უფრო დიდი სიცხეა, ისე უფრო შრება ჭაობიანი ადგილები, უფრო ბევრი ოხშივარი ერთმევა და რაც უფრო სიცივეა, ისე ოხშივარიც ძალიან ცოტა ადის. მამ ჰაერშიაც ცოტა სენი იქნება ამისაგან.

* *

რომელნიც ტემზის მახლობლათ ცხოვრე-

ბენ, ისინი ძალიან ხშირად ჰხდებიან ხოლმე ავად სახადითა, როდესაც ზაფხული სიცხიანი დადგება. წყალი აკლდება და ტალახი შრება. ამერიკის ქვეყანაში ამ ავადმყოფობას ცხელებას ეძახიან. ბენმორის თემში ყოველ ზაფხულში ცხელება იყოფო გაუწყვეტლათ, ერთი იქური კაცი ამბობს; მაგრამ ახლა ჩრდილოეთისაკენ ცხელება სულ აღარ არის ხოლმე, იმიტომ რომ იქ რაც ჭაობები იყო, ყველა გააშერეს. სამხრეთის ნაწილში კი ყოველ-წლით არის, იმიტომ რომ აქ იდგა ერთი ტბა, რომელსაც სამს წელიწადს ერთხელ სწმენდავდენ ხოლმე. პირველ წელიწადს, როცა ტბა ისევე წყლით გაიშრა, ციებ-ციხელებაც საოფლით გადაიქცა, მაგრამ მეორე წლის გასვლისას, როცა ტბამ დაწყო გაშრობა, მაშინ საოფლე გაძლიერდა.

* *

როცა ზღვის ბოლოში დგას, ან კიდის მახლობლათ არის ხომალდი გაჩერებული, მემხომალდეები ხშირად ჰხდებიან ხოლმე სახადით ავად. მით საავადმყოფო ხომალდს მიუჩნეს ექიმათ ერთი დოქტორი, რომელმაც შენიშნა, რომ ციების გამჩენი ჭაობიანი ოხშივარიაო; ეს მე ყველა ავადმყოფებზე შევნიშნე, რომელნიც მოჰყავდათ ჭაობიან ადგილას მცხოვრებლებიდანო. ამ ავადმყოფობისაგან ეზრდება ტყუბი და ჯიგარი (ღვიძლი). აგრეთვე ასტივდება წვრილი ნაწლევებიც; ციების გაჩენა იმითია შესანიშნავი, რომ ამდროსვე მოფენება ცხელებაცა. ეს ავადმყოფობა გადამდებია. რამდენიმე წელია მას აქეთ, რაც ერთი ახალგაზდა ყმაწვილი გახდა საოფლით ავად სავაჭრო ხომალდზე და შინ გამობრუნდა. სოტა ხანს შემდეგ ამავე სახადით გახდენ ავად იმისი ორი ძმ. მჭერ არ არის, რომ ამათ მისაგან გადაეღათ, რადგან სხვა მიზეზი არა იყო რა.

* *

ალაგ-ალაგ ზღვის პირებზე უზარმაზარი თეთრი თირიქვის კლდეები დგანან. როდესაც წვიმა მოვა ხოლმე, ეს კლდეები დასველებიან და შიგ წყალი ჩაუჯდება; შემდეგ გამოდარების დროს, როცა სიცხე დაჰქრს ამ კლდეებიდან ადის ხოლმე ოხშივარი, რომელსაც ცუდი სუნი აქვს და აჩენს ციებ-ციხელებას. ამითი აიხსნება, რომ იერუსალიმის მახლობლათ მდებარე მთებში, იტალიის პირებზე, საბერძნეთში ზღვის კიდეებზე, ინდო-

ეთში თირიქვის კლდეების მახლობლათ დობს ზაფხულობით ციებ-ციხელება და სახადიცა. ძეიშიანი ადგილები, საცა წყალი ნიადგ არის, ზაფხულში აჩენს ციებ-ციხელებას, როცა ამ ქეშიდგან ადის ოხშივარი. მაგალითად შავი-ზღვის პირები შოთიდან დაწყებული სოხუმამდის ზაფხულს ციებ-ციხელების ბუდე არიან.

* *

როცა მდინარეები პატარაელებიან და კიდეები შრება ზაფხულ და შემოდგომაზე, მაშინ ციებ-ციხელება ამ მდინარეების პირზე ამათი ბრალია: ზოგჯერ სახადი ცხელებათ გადაიქცევა ხოლმე. დოქტორი შტერნი ამბობს, რომ ხშირად ლაზარეთებერთ სახადიანის მოსარჩენათ, რომელიც ისეთი შეწუხებული ყოფილაო, რომ ყველას დაკარგვია იმედი იმის მორჩენაზეო. მაგრამ გამოჩენილა, რომ სახადიანის შეწუხება ციების დართით მომხდარა ხოლმე: როდესაც სახადი ციებ-ციხელებათ გადაიქცევა, მაშინ ავადმყოფს მკედრის ფერი სძევს, ტანი გაციებული აქვს, კრთება ხშირ-ხშირად და ჭირისუფლებს ეს უიმედობაში ავდებს. მაგრამ სიკვდილის დროს ტანის გაცივებას ცივი ოფლიც მოსდევს და ზემოთ მოხსენებულს შემთხვევაში კი ოფლი სრულიებით არ მოსდის. ამასთანავე ავადმყოფის თრთოლაც ამტკიცებს ციებასა. მე ამ ნიშნებს როცა ვხედავდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ავადმყოფი მალე მორჩებოდა. როცა საოფლე ციებ-ციხელებათ გადაიქცევა, ეს კარგი ნიშანია. იმიტომ რომ ცხელებისაგან მორჩენა უფრო ადვილია, ვინამც საოფლისაგან.

* *

სახადი სხვა და სხვა ნაირათ იცვლება წლის ამიდებზე, - მაგალითათ გაზაფხულობით და შემოდგომის გასულს ის იქცევა ციებ-ციხელებათ; ზაფხულობით და შემოდგომის დამდევს კი საოფლით. სხვა და სხვა ადგილას სახადიც სხვა და სხვა ნაირია. მაშლილ ადგილზე ჭაობის ოხშივარს ციებ-ციხელება მოაქვს ხოლმე და გორებიან ადგილებში, ან საცა ბევრი მცხოვრებლებია. ჭაობიანი ოხშივარი აჩენს საოფლესა.

* *

მაშლილ ადგილზე ქვწყალსა და ჭაობებიდან აღნილი ოხშივარი ციებას აჩენს და თუ ამ ალაგას კაცმა პირი უბრუნე მიწასა, მოხსა,

მაშინ ნახნაეებიდან აღენილი ოხშივარი აჩენს ხურეებს, სახადს, საოფლეს. შაობიან ადგილებში ძარღვების მოშლელი ავთამყოფობა, ან უკეთ ვთქვათ ტენის ძაფების დამასუსტებელი, საოფლეთ გარდაიქცევა ხოლმე. ამის გამო ყმაწვილები და მოხუცებულები ხშირად კვდებიან ხოლმე საოფლითა. საცა კაობიანი ადგილებია, დარწმუნებული უნდა იყო, რომ იქ ყოველს კაცს სახადი და ციება ტანში უდგას და ცოტა მიზეზითაც გამოაჩნდებათ ხოლმე ეს ავთამყოფობა.

ს ა მ ე ს ნ ი მ რ ო ნ ა წ ი ლ ი.

ა ბ რ ე შ უ მ ი ს ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო ბ ა ზ ე.

რუსებს აქეთ ერთი ანდაზა, რომელიც ამბობს, რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა კი სიბნელე, წყვილია“; მაგრამ ამ სიტყვებით კიდევ ვერ გამოითქმის ის ღირსება, რაც სწავლას აქვს. იმას გარდა, რომ სწავლა და მეცნიერება გენათლებს ჩვენ ჭკუასა და ყველაფერზე რიგიანი შეხედულობის ღონის ძიებას გვაძლევს, იმას მოაქვს ჩვენთვის აუარებელი სარგებლობა თვითონ ცხოვრებაში, ლუკმა-პურის საქმეში. მინ გამოსთქვამს—რამდენი სარგებლობა მოუტანია კაცისათვის სწავლას და მეცნიერებას! ავიღოთ მაგალითად გლეხ-კაცების გათავისუფლება; თქვენ გგონიათ—მეცნიერებასა და განათლებას ამ საქმეში არაფერი მონაწილეობა არ მიუღიათ? მე გარწმუნებთ, რომ დიდი მონაწილეობა მიიღეს. სანამ კაცები უმეცრეები და სწავლა—მოკლებულნი იყვნენ, ყველას ეგონა, რომ ბატონ-ყმობა ღვთისაგან არისო გაჩენილი, რომ უიმისოთ ქვეყანას გაძლება არ შეუძლიანო. მაგრამ შემდგომში, როცა სწავლა და განათლება შემოვიდა, მიხედენ, რომ კაცს თავისი ძმა-კაცი არ უნდა ჰყავდეს დამონაწევებულიო, რომ ყველამ თავისთვის უნდა იზრომოსო და არაერთმა იზრომოს და მეორე კი ხელ-გულ დაკრეფილი იჯდეს და სხვის შრომას სჯამდეს. ამას გარდა სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, ორივე უკეთეს მდგომარეობაში ჩავარდებიან—ბატონებიცა და ყმებიცა და ამის გამო ქვეყანაზეც ცხოვრება უფრო გააღვირდება და გაუკეთებლებო.

XX

ავიღოთ ახლა რომელიმე მეორე მაგალითი; აი თუ, გინდ ის რკინის გზა, რომელიც ჩვენში გაჰყავთ ამ ჟამად. მინიცის—რამდენ სარგებლობას მოგვიტანს ის! მის მაგიერათ, რომ თბილისიდან შუთაისამდე ცხენოსანმა კაცმა ექვსი, ან რვა დღე იაროს და დალილ-დამტყრეული მივიდეს იქ, ის ჩაჯდება ლაზათიანათ, რკინის გზის ოთახში (ვაგონში) და ხუთი ან ექვსი საათის განმავლობაში შუთაისში ამორგავს თავს. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ეს ცოტახნის მოგზაურობა უფრო იაფათაც დაუჯდება იმას და არც გზაზე გაილახება. საქონელის გადასატანათ ვაჭრებისთვის ხომ ეს გზა ძლიერ სასარგებლო იქნება; მართალია აქლემებსა და ჩვენებურ მეურმეებს მოაკლდებათ შემოსავალი, მაგრამ მის მაგიერათ ისინი სხვა ბევრს სარგებლობას ნახვენ ამ გზისაგან.... ახლა ვთქვათ, ვინ მოიგონა ამ ნაირი გზა, რომელზედაც კაცს შეუძლია საათში ორმოცი ვერსიდან ოთხმოცამდე გაიაროს? ისე იმ მეცნიერებამ, რომელმაც ისეთი მიმართულება მისცა ორთქლსა, რომ იმის ძალით რამდენიმე ოთახი მიდის გაქანებული საშინელის სიჩქარითა.—ამაზე ჩვენ დაწერილებით როდესმე შემდეგში ვიტყვი; აქ იმიტომ ვახსენებ რკინის გზა, რომ გიჩვენოთ—რამდენი სარგებლობა მოაქვს თვითონ ცხოვრებაში მეცნიერებასა.—

XX

ახლა ჩვენ საქმეს შეუდგეთ და განვიხილოთ—რა საშუალებას გვირჩევს მეცნიერება, რომ გავათავისუფლოთ აბრეშუმის ქიები ჭირისაგან, რომელიც ამდენს ზიანს აძლევს ჩვენს მხარეს და ზოგიერთს მეროპის ქვეყნებსაც.

შრანციაში, ისპანიაში და იტალიაში (მეროპის ქვეყნებია) რამოდენიმე ხნის წინეთ ისე მოერია ჭირი აბრეშუმის ჭიას და ისე წახდინა, რომ თითქმის სულ არ მოდიოდა აბრეშუმი ამ ქვეყნებში; სამოცდა ხუთში მანც შრანციაში ძალიან ცოტა მოვიდა და რაც იყო, არც იმას ჰქონდა ხეირი. მაგრამ შარშანწინ და შარშანწინისწინ კი აბრეშუმის მოსავალმა შრანციაში, როგორც სწერენ, იმდენათ იმატაო, რომ ოთხი იმდენი მოვიდაო. რაც სამოცდა ხუთში იყო, თუმც, რასაკვირველია, სულ აღრე რომ იყო, იმისთანა მოსავალს ჯერაც ბევრი უკლიაო.—აბრეშუმის მოსავლის გაკეთების მიზეზი ის არის,

რომ შრანციაში შემოაქვეთ ახლა ქართული აბრეშუმის კვერცხები იაპონიიდან, სადაც ჭირი ჯერ არ გავრცელებულა; მართა შარშან გამოუტანიათ იაპონიიდან ათი მილიონი მანეთის კვერცხი *). მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ორი სამი წლის შემდეგ ეს კარგი კვერცხიც ჰხდება ხოლმე და იმნართევე ჭირიანდება, როგორც ადგილობრივი აბრეშუმისა.—

XX

მრთი გამოჩენილი შრანციის სწავლული—პასტორი ამბობს, რომ „თუ გინდათო, რომ იაპონიიდან შემოტანილი კვერცხები არ გაგიჭირიანდესო, ნუ მიაკარებთ იმათ თქვენს ძველს კვერცხებს და ნურც ჭიებსო“! მეორე სწავლულმა ძალიან ცხადათ დაამტკიცა, რომ აბრეშუმის ავთამყოფობა გადაძლდება: სანს პატარ-პატარა ყუთებში აურიო იმან ერთად შრანცუხული ავთამყოფი აბრეშუმის კვერცხი და იაპონიის ჯანმთელი კვერცხები და გაუგზავნა მოსაშენებელათ ერთს თავის მგზობელს გლენ კაცსა; სხვა სამს ყუთში ჩაყარა მართა იმისთანა ჯანმთელი კვერცხები, რომელნიც იაპონიიდან იყო მოტანილი და გაუგზავნა მოსაშენებლათ მეორე გლენ კაცსა, რომელიც ცოტათი მოშორებით იდგა სხვებზე.—აღმოჩნდა, რომ იმ კვერცხებიდან, რომელშიც არ იყო გარეული სხვა ავთამყოფი კვერცხები, ძალიან ჯანმთელი პეპლები და კარგი პარკებიც გამოვიდნენ; და იმ კვერცხებმა კი, რომელშიაც შრანცუხული ავთამყოფი კვერცხები ერიენ დაბადა სულ ავთამყოფი ჭიები და აბრეშუმიც კული მოიყვანა.

XX

ამ ნაირ თ სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ აბრეშუმის ჭიის ავთამყოფობა გარდამდებია. მაგრამ ამაზე უფრო შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ სწავლულებმა გამოიკვლიეს ნამდვილი მიზეზი ჭიის ავთამყოფობისა.

შრანციის სწავლულმა—პასტორმა აიღო ავთამყოფი და ჯანმთელი ჭიები და დაუწყო იმათ შინჯვა, უნდოდა შეეტყო—რა განსხვავება იმათში და რისგან წარმოსდგება ავთ-

* ჩვენშიაც შემოაქვეთ იქაური აბრეშუმის კვერცხი, მაგალითად ნუხაში და მრენის გუბერნიაში; მჩინაწინის მონასტერში კარგი მოსავალი მოსცა ამ კვერცხმა. საზოგადოთ კი ჩვენში ხორანის მოდგმის აბრეშუმიცა.

მყოფობა. იმან დაუწყო მიკროსკოპით *)
ყურება ავთომყოფს ჭიებს და შენიშნა, რომ
ტანზე იმათ რაღაც პატარ-პატარა ლაქები,
წერტილები აქეთ. იპონიელი, ჯანმთელი
ჭიების კანზე კი ამისთანა ლაქები სრულიად
არა ყოფილა.

შემდეგ პასტორმა გასჭრა რამოდენიმე ამ
ნაირი ლაქებიანი აბრეშუმის ჭია და მიკრო-
სკოპით დაინახა, რომ იმათ ყველას წელეში
ჰყავდათ აუარებელი პატარ-პატარა, ცოცხალ-
ცოცხალი მატლები, რომლებიც გველებით
დასიმსიმებდნ და იკლავებოდნენ. ძარგათ
მყოფს ჭიების წელში კი ამ ნაირი მატლები,
თუმც ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ დაინახა..

XX

ლაქებიანი ჭიებიდან კვერცხებიც ავთომყო-
ფები, ლაქებიანი გამოვიდნენ, და ამ კვერცხე-
ბიდანაც ავთომყოფი ჭიები გაჩნდნ; ასე რომ,
როგორც აღმოჩნდა, ეს ჭირი ერთი შთამო-
მავლობიდან მეორეზედ გადადის.

იპონიის ჭიებმა კი, როცა ისინი არ იყე-
ნენ ავთომყოფებთან შერეულნი, ყოველთვის
კარგი კვერცხები დასდევს და ამ კვერცხები-
დანაც კარგი და ჯანმთელი ჭიები გამოვი-
დნენ. მაგრამ ყოველთვის, როცა კი ჯანმთე-
ლი და ავთომყოფი ჭიები ან კვერცხები აუჩიეს
ერთათ, ჯანმთელებსაც გაუჩნდათ ჭირი და
მაღე კვდებოდნენ. პასტორი ამბობს, რომ
კარგათ და ავთომყოფი ჭიები არასოდეს არ
უნდა გამოზარდოთ ერთს ოთანშიო, თორემ
უთუოთ კარგათ მყოფ'აც გადაედება ჭირიო;
ორმოცდა ხუთი საქენი მაინც უნდა იყოსო
ერთი მეორეზე მოშორებული.

XX

ამ ავთომყოფობის გარდა არის კიდევ მეო-
რე, რომელიც იმით დაეტყობა ჭიებს, რომ
ისინი ზანტდებიან, ნელ-ნელა ინძრევიან და
ცოტა საქმელს სჭამენ. ეს ავთომყოფობა არის
ჭიების ძ ი ლ ი. ახალ გამოსულ ჭიებს ჯერ
სრულიათ არ შეეტყობა ეს ავთომყოფობა: ისინი
მარჯვეთ არიან და კარგათაც სჭამენ; მაგრამ
შემდეგში, როცა პარკში გამოხვევას დააპი-
რებენ, მოძრაობა უძნელდებათ და საქმელსაც
ცოტას მეტს არ იკარებენ; და ბოლოს საუ-
კუნოთ მიეძინებთ.

*) მიკროსკოპი მინაა, რომელიც იმდონათ გადი-
დებს პატარ-პატარა, თვალთ დაუნახავ, სუგნებს, მაგ.
ცხოველებს, ან მცენარეებს, რომ ჩვენ შეგვიძლია იმა-
თი დანახვა და გაშინჯვა.

ამ ნაირი ავთომყოფობის მიზეზიც, სწავლე-
ლების გამოკვლევით, მუცელში გაჩენილი
მატლებია. ძილიც ვადამდებია.—

XX

აბრეშუმის ჭიებში პატარ-პატარა მატლე-
ბის გაჩენის მიზეზი ის არის, რომ თითო თი-
თო ლასტზე ერთობ ბევრ ჭიებს ზრდიან ხო-
ლმე; ამას გარდა ჭიებს ავენებს: მომეტებული
სითბო კანის გამოცელის დროს, გამთბარი და
უწმინდური საქმელი (თუთა), აგრეთვე ელვა
და ქარი.—

XX

— ზანათლებულ ქვეყნებში გამოსცადეს
აბრეშუმის ჭიების რჩენა სხვა და სხვა მცენა-
რების ფურცლებითა. აღმოჩნდა, რომ, თუ-
თის გარდა, იმათი რჩენა შეიძლება აგრეთვე
მუხის, კომბოსტოს, აილანტუსის, სტაფილოს
და ზოგი სხვა მცენარების ფურცლებითაც.—
თბილისში არჩენენ ახლა ერთნაირ აბრეშუ-
მის ჭიას აილანტუსის ფურცლებით და, რო-
გორც ჩვენ დაერწმუნდით ჩვენი თვალთ,
ამნაირ ჭიებს კარგი პარკები გამოაქეთ.

როგორც ზევით ვთქვით, ჩვენშიაც იზარე-
ბენ ხოლმე იპონიიდან კარგს აბრეშუმის
კვერცხებსა, მაგრამ მოსავალმა კი მაინც არ
იმატა. ძაკვასის სამეურნეო საზოგადოებამ
ძიაქცია ამ საქმეს ყურადღება და გამარსა
თბილისში სააბრეშუმო, რომელშიაც კარგი,
ჯანმთელი აბრეშუმის ჭიები უნდა გამოზარ-
დონ და იმათი კვერცხები მცხოვრებლებს
დაერიგება. მიკროსკოპით გამოარჩივენ კარგს
ჭიებსა და იმათ მოაშენებენ ცალკე კარგი
ჭიები, რასაკვირველია, კარგს კვერცხებსაც და-
სდებენ და ამ რიგათ მოშენდება ჯანმთელი
მოდგმა ჭიებისა და აბრეშუმის მოსავალიც
იმატებს.

ს. მ.

მოძღვრება პირველი.

მისთვის, თუ ვითარ ასწავებს სიტუვა ღვთისა ბედსა
ზედა ცხოველუხასა.—)

„ძნელი შეიქმნა ჩვენი ღროება“ ამბობენ
ახლა; „ეს საქმე იყო ძველღროებაში“ ამ სი-
ტუებში არის სიმართლე და არის უსამართ-
ღობაც. არა ადვილ შეიქმნა ცხოვრება იმ
ღროებიდან, როდესაც კაცთა დაიწყეს შე-

ცოდება; მაგრამ მახლობელი ჩვენსა მდინარე
ჩვენი ღროება არ იყო ძლიერ ურიგო; იყო
მასშინა კეთილი, მაგრამ მრავალი მწუხარებაც
მოუტანა ერსა. მოვიხსენოთ თუგინდ მრავა-
ლთა მილიონთა ყმებთა, ჩვენ ძმათა, განთავი-
სუფლება. შადვილესად ამოიხზრეს ჩვენს კე-
თილს ღროებაში ჩვეთა მზრდელთა გლესთა
წამოვიდა მშვიდობა და სიყვარული ტახტისა-
გან მეფისა; სურს ჩვენს მეფესა, რათამცა
ყველა მისმა ქვეშევრდომმა იცხოვროს ადვი-
ლად, რათა უფროსთა არა შეავიწროვონ
უნცროსნი; ყოველნი საქმენი კეთდებოდნენ
სიმართლითა ღვთისათა და ქრისტეს სიყვარუ-
ლითა. ხოლო კეთილთა პირთა გამოიღვეს
თავი ცხოველისათვის... მოიხსენეს, რომ
უნდა შეიზარალონ პირუტყენიცა, რომელნიცა
გვეხმარებიან ჩვენ შრომაში. ზანათლებულ
ქვეყნებში დაიწყეს ზრუნვა არა მხოლოდ
მომუშავე პირუტყეებისთვის, არამედ ყველა
მფრინველებისთვის და მხეცებისთვის. არც
გასაკვირველია: როდესაც გული გვაქვს და-
წყნარებული და სული დამშვიდებული, მაშინ
მზა ვართ ყველა შევიყვაროთ და მხეცებსა
შეურიგდეთ!

მამბობ: ერთა მოიხსენეს ცხოველიცა, სხვა
ქვეყნებში დიდი ხანია, რომ ზრუნვენ ცხო-
ველთათვის, რომ შეასუბუქონ მათი სიცო-
ცხლე. ჩვენს მხარეზედაცა მთავრობა და
კეთილნი პირნი შეუდგნენ თადარიგსა, რო-
გორ ჩაგონონ ხალხს კეთილად მოქცევა
პირუტყეთან, რომ დაარვიგონ ფიცხელნი კაცინი,
რომ იმათ შეიზარალონ არა მარტო პირუტ-
ყენი, ყოველივე არსება. ძეთილი საქმე მოი-
ფიქრეს იმათ. შეაღმან აკურთხოხს იმათი
შრომა და შეეწიოს მათ, ხოლო ჩვენ წყემ-
სნი სულისა თქვენისანი, მოვალენი ვართ
თანხმად ამისა, ავიხსნათ თქვენ, რომ შეზარ-
ლება ცხოველისა არის ზნეობითი ვალი ყო-
ველთა კაცთა და ქრისტიანეთა.

პირველად, ძმანო ჩემნო, გამოვიკვილოთ
დაბადებისა ანუ ღვთის სიტყვისაგან სწავლა
ბედსა ზედა ცხოველთასა, — ვაჩვენოთ როგორ
ანუ რისათვის, შექმნა რა ღმერთმან ცხოვე-
ლნი, მისცა მათ ზედა უფლება კაცსა, თუ
როგორ დაჰკარგა კაცმა ესე უფლება, რო-
გორი სამწუხარო არის ახლა მდგომარეობა
ცხოველთა ქვეყანასა ზედა, როგორი ექმნება
დასასრული ცხოველის წვალებასა, შოვლად-
სახიგისა ღმერთსა არა ვითარიმე არ შეუქმნია
წუხილის და წვალებისათვის. მიანიჭა რა თვი-
სთა ქმნულებათა სიცოცხლე მას სურდა, რათა
ყოველსა ცხოველსა უზაროდეს და იყოს
ბედნიერი თავისებურათ, ზომისაებრ თვისთა
ძალთა და საქროებათა. ღბალნი ქმნულე-
ბანი მან დაუმორჩილა მალალთა, უფრონი-
გონიერთა, ყოველი ქმნულება ქვეყანისა მი-
სცა სამფლობელოდ კაცსა „და შექმნა ღმერთმან
კაცი, იტყვის საღმრთო წერილი, ხატად ღვთისა, შე-
ქმნა იგი, მამა კაცად და დედა-კაცად შექმნა იგინი;
და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან: აღორძინ-
დით და განზრადდით და ადევით ქვეყანა და უფლუ-
ბდით მას და მთავრობდით თევზთა ზღვისათა და მფრი-
ველთა ცისათა და ყოველთა პირუტყეთა და ყოველსა
ქვეყანასა და ყოველთა ქვეშევრდომთა ქვეყანასა ზედა:



(შექ. ა, კ. კ). ნუ იფიქრებთ, ძმანო, რომ მისცა რა ღმერთმან კაცსა უფლება ცხოველებზე, ვითომც მით შეეძლოს კაცსა მოქცევა ცხოველთან, როგორათაც მას სურს; უფლება არ არის მტანჯველობა, თუ რომ ერთა შექმნეს უფლებისაგან რაღაც საშიშარი; კაცთა მიკემულ არს უფლება ცხოველთა ზედა მისთვის, რომ იზრუნონ მათთვის, ვითარცა გონიერმან უგონოთათვის და სარგებლობდეს მათის შრომითა იმ ზომით, რომ უზედურათ არ გახადოს იმათი ცხოვრება. ძაცსა არა აქენდა უფლება პირუტყვის დაკვლისა და მათის ხორცის საზრდოდ ხმარებისა: იგი უნდა ზრდილ იყოს მცენარისსაჰქმელითა (შექ. ა, კთ). ამისთვის ცხოველნიცა ზედვიდენ შეუცოდებელსა ადამსა შინა კეთილსა უფალსა და კეთილ-მოქმედსა მასპინძელსა; და მხეცნიცა დაემორჩილებოდნენ მას, ლომები და მგლები თამაშობდნენ წყნარად თვებთა მისთათანა.

შესცოდეს კაცთა და წესი ქვეყნისა ზედა დაირღვა, ცოდვა მან უშვერ-ჰყო კაცი, არაღარა დარჩა მასთანს მშვიდობა სულისა და თავისუფლება, რომელიცა აქენდათ მათ ვინემდის შესცოდადენ, — და ცხოველნიცა აღარ დაემორჩილნენ მას. დაჰკარგა სამოთხე და ნეტარება კაცმან, დაჰკარგეს თვისი ბედნიერება ცხოველებმაც. ადამსა დაუწყეს მზერა არა როგორც უფალსა, არამედ როგორც მტერსა თვისსა. ზანიბნიენენ მისგან პირსა ზედა ყოველისა ქვეყნისასა, ეძიებდნენ რა მუნ ბინასა, სადაცა არ იყვნენ კაცნი. მხეცნი უძლიერესნი და უდიდესნი ცხადად მტერობენ კაცსა, ხოლო ცხოველნი უღონონი შირბიან და ეშალებიან იმას. არა მრავალნი ცხოველნი დაშინენ ჩვენთანა წყნარად და შინაურად, და იმათაც ესტანჯაეთ.

ბევრი, ბევრი დროება გავიდა, კაცმა რომ შეცოდა, მას აქეთ და მხოლოდ შემდეგ წარღვნისა სცნა რა ღმერთმან უძლიურება კაცისა, უკურთხა იმათ საქმელად ხორცი ცხოველისა (შექ. თ, გ);, გარნა ყოველთვის შთაგონებდა კაცთა შებრალებასა მათსა, მაგალითებრ: სჯულსა შინა მოსესსა ეკითხულობთ: „არა აღუკრა პირი ხარსა მღვწელსა“, — მისთვის, რათამცა, ლეწდეს რა, შეძლოს მის ჰამაცა. მეორე სჯული გვითხრობს: „თუმცა გზასა ზედა ჰპოვო ბუდე მფრინველთა და დედა მჯდომარე მასზედა ანუ კვერცხსა ზედა, ნუ აღმოიყვან დედასა შვილებითურთ, შენ მიუცბრებელად უნდა გაუშვა დედა ხოლო ბლარტები (ანუ მარტვენი) შეგიძლიან წაიყვანო“ (შექ. კბ, ვ. ზ.) კიდევ მეორე სჯული ბძანებს: „ნუ ხნავ ხარითა და ვირითა ერთად“ (ი), რასაკვირველია მისთვის, რომ არა ერთგვარია ღონე ხარისა და ვარისა. მით დაკვლა ცხოველთა სამსხვერპლოდ ანუ საქმელად აქენდათ მინდობილი სჯულისაებრ კაცთა ღვთისათა, განსაკუთრებით გამორჩეულთა, მისთვის, რომ ისინი დაკვირდნენ ცხოველთა დაუტანჯაეთ. მათ იცოდნენ, თუ რომელი ძარღვი გაეჭრათ, რათა ცხოველი მომკვდარიყო თითქმის მიძინებით.

მითარი არს ეხლა მდგომარეობა ცხოველთა? მქვენ თვითონ იცით, ძმანო, რომ მდგომარეობა მათი არის ცუდი; ველურნი და შინაურნი ცხოველნი ერთად იტანჯებიან. „შწყით რამეთუ ყოველი დაბადებული ჩვენთანა კენესის და თანა-ელმის აქამომდე. (რომ. ს. კგ.) გარეულნი ცხოველნი იტანჯებიან ხან შიმშილისაგან, ხან ცუდი ტაროსისაგან, ხან სნეულებისაგან, ხან მკამელთა მხეცთაგან. ხოლო შინაურნი ცხოველნი ხშირად განუყოფენ მძიმესა წილსა თვისსა პატრონსა. შეხედეთ როგორ ცხადად იხილებს სიღარიბე დი მძიმე მომადულურებელი შრომა ღარიბისა მუშაკისა (კაცისა) იპისს ცხენზედ, რომელიცა არის გამხმარი, კისერ-დაღუნული, თვლ ამღვრული. შეხედეთ, როგორ თავის-მოძულებით მისდევს ღარიბს პატრონს თავისი მართალი ძაღლი, თუმცა ხშირად არა მიუღია მისგან არცა ერთი ნამცეცი პურისა; ის ლოკავს მხოლოდ ქუჩებზე დადგებულს ძელგებს. ცხოველნიც ისე გრძობენ მწუხარებას, როგორც ჩვენ. იტანჯებიან, დამონებულ-არიან ამოებისა და ხრწნილებისადმი, ვითარცა ჩვენ. რაესათვის იტანჯებიან იგინი, რამეთუ ამოებისა დაემორჩილა და ბადეზული, არა ნებსით, იტყვის მოციქული, არამედ მის მიერ, რომელმან იგი დაამორჩილა“ (რომ ს, კა.) ჩვენ ვართ, ძმანო ცოდვილნი, ჩვენის ცოდვისათვის სწვალობენ ცხოველნიცა! ძნელი ჰქმარებდა არის, ესე! მქმნება ოდესმე დასარული ამ წვალვებასა? მქმნება, იტყვის იგივე მოციქული: „რამეთუ იგი იგი დაბადებისა გამოჩინებასა შვილთა ღვთისათა მოელის“ (რომ ს კა.) დასრულდება წვალვება ცხოველთა, ოდესაც დასრულდება წვალვება კეთილთა კაცთა დიდების მეთობასა შინა მეორე ცხოვრებისასა. მაშინ მოვიდეს მეელი კრავთათანა და ვეფხვი თიკანთა თანა განისვენებდეს, ამბობს უფალი პირთა წინასწარმეტყველისათა, რომელიცა გამოხატავს მეთობასა დიდებისა; და ზვარაკი და ლომი და კურო ერთად მოვიდნენ და ერთმან მან მცირემან მოიყვანეს იგინი, და ხარი დათვისათანა მოვიდნენ, მათთანა იყვნენ ყრპანი მათნი, ლომი, ვიარცა ხარი, ბჰესა სკამდეს, და ყრპამან მცირემან ზვრელსა ზედა ასპიტისასა და საწოლსა ზედა ნაშობთა ასპიტისათა ხელი დასდეს“ (ის. ია, კთ). მწუხარე გულსა ქრისტიანისასა ანუგეშებს მოლოდინი საუკუნო ცხოვრების ნეტარებისა, გარნა აქაცა ყოველის მხრით ცდილობს შეასუბუქოს თავისი ვაება. სასიხარულო არის ჩვენთვის მოლოდინი დიდების მეთობისა, ვინაჲდგან მაშინ ქმნულბანიცა განთავისუფლდებიან ხრწნისაგან, ამისთვის რომ

ჩვენი ქვეყნიერი ცხოვრება არის მომხდენი საუკუნო ცხოვრებისა. მითარი იქმნება ესე მომხადება, თუმცა ჩვენ ფიცხლათ მოვეპყრობით ცხოველთა? შიცხელობა გულისა შგვიყვანს ჩვენ არა მეფობასა შინა მშვიდობისა, სიყვარულისა, და ნეტარებისასა; არამედ მეფობასა შინა სიძულისა, ბოროტისა და წვალვებისასა.

ყოველივე ზემო თქმული, ძმანო, მოგვიყვანს ჩვენ შემდგომი ჰქმარებებისადმი:

1) ცხოველნი არიან ღვთისაგან შექმნულნი, მაშასადამე ჩვენ უნდა გვეშინოდეს ფიცხლად მოპყრობისათვის მათდა, ღმერთი მოგვიკითხავს თავის ქმნულბათათვის.

2) ღმერთმან მოგვცა მათ ზედა უფლება არა მისთვის, რათამცა ესტანჯვიდეთ მათ, არამედ რათამცა ვზრუნვიდეთ მათთვის.

3) თუმცა ცხოველნი არა დაგვიმორჩილდებიან ჩვენ და აღსდგებიან ჩვენ ზედა, ამაში ჩვენ ვართ დანაშაულნი, ხოლო ვინაჲდგან დანაშაულნი ვართ, მაშასადამე უნდა შევიბრალოთ ცხოველნი.

4) არა მიმხედველნი ჩვენის შეცოდებისათვის, რომელიმე ცხოველნი მაინც კიდევ გვემსახურებიან ჩვენ და მონაწილენი არიან ჩვენთა შრომათა და ბნელს ბედსა შინა. ამისთანა ცხოველთა შებრალებასა გვამცნებს თვით გრძობა და ძალი სიმართლისა.

5) ცხოველნი იტანჯებიან ჩვენის ცოდვისათვის, ამან უმეტესად უნდა განაღვიძოს ჩვენში სირცხვილი და შებრალება უბრალოთა ცხოველთა.

საზოგადოდ, ძმანო, უნდა შევიყვაროთ ცხოველნი, და იგინი მოგვიახლოვდებიან ჩვენ; ცხოვრებისაგან წმინდათა ღვთისათა ვიცით ჩვენ, თუ ვით რ დაემორჩილებოდნენ საშიშრნი ლომნი წმინდათა მეუღაბნოეთა და მორჩილად ემსახურებოდნენ მათ. და ესრეთ, აი, რა მოგვიბრუნებს ჩვენ უფლებასა თვით ველურთა ცხოველთა ზედაცა: წმინდა ცხოვრება. ბსურთ, რომ არ გვეშინოდესთ მხეცთა და მხეცთა თქვენი არ გვეშინოდესთ, იყვენით კეთილნი ქრისტიანენი.

ბლალოჩინი მღვდელი ღვთის ღამბაშიძე (შემდეგი იქნება).